

კელაქია

მოდინის (ბ.ს.ბ.ბ.) მადანზე, შორანის ხეობაში.

ხელის-მწერა

რედქციონი და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს ვარუშე მცხოვრებათათვის: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ редакціи газеты „Апостолъ“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შურტი.

# ფროეპა

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და უცხოურ ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობითაღიდი, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფრითი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედქცია ვასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა და უბეჭდელი ხტატია აეტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### აკულობა

#### ოსვალოს საქართველოში

ზუზინდელმა ფონტამ ოსურგეთი-დამ მოგვიტანა ჩვენ ერთი ამბავი, რომელიც ჩვენთვისაც სრულის ყურადღებისა და დაფიქრების ღირსია. ისეთი სარწმუნო კაცი გვწერს, რომ ჩვენ ერთ წამსაც არ შეგვიძლია ცოტა ეჭვიც არის ექვნიოთ ამ ამბის სრულს სინამდვილეში. აა ეს ამბავი:

„ოსვალეთის მართებლობამ, გასული აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში, ხონტკრის ფირმანი (ბრძანება) გამოუცხადა ხალხს, რომლისა ძალით ხუთხეტე დღის განმავლობაში რედიფები (შინ გაშვებელი ძველი სალდათები) უნდა შეეკრიბნათ და საომრათ გაეგზავნათ აჯანყებულ ბერცოგოვინისა და სხვა სლავიანური ხალხებს დასამშვიდებლათ.

„მაგრამ ხალხმა ამაზედ ადგილობრივ მთავრობას უარი უყო და ერთხვათ განაცხადეს, რომ ჩვენ ნებით ჩვენი სახლიდგან სხვა ქვეყაში საომრათ ვერ წავალთო, რადგან ჩვენ

ძველი ქართველები და სამზღერის ხალხნი ერთო და დღეს ოსმ.ლეთის ხელში დიდთ მწუხრეთ დაღარიბებული და დაცემული და არა ერთ შეჩეეული ზღვაში და შორი ქვეყნების ჰაის ატანასაო, ჩვენ ჩვენს ადგილებს უფრო კარგათ დავიცავთო.

„ამაზედ მოხსენება როგორც მოუვიდა ფაშას, განებულმა ფიცხლავ ბრძანება მისწერა კაიმაკამებს და მუღირება (უფხდის უფროსებს), რომ ძალით გამოიყვანეთ ხალხიო და ეინც წინააღმდეგობა იხმარასო, თჯანი და სახლ-კარი დაუწეითო; მათი ცოლშვილი დაატუსაღეთო.

„თუმცა შობულეთის კაიაკამი, ოსმან-ბეგი თედღირაძე, ძალიან სცდილობდა, რომ ეს ბრძანება მშვიდობიანად და ძალ-დაუტანებელად აესრულებინა; მაგრამ ნებით არა გაუუიდა რა და შემდგომ ყირსარდლები (ყანდარმები) გაგზავნა სოფლებში.

„სოფლებმა ახლოს არ მოუშეეს ჯარი და ზოგან თოფიც გაეარდა; შეტაკებაში ერთი კაცი მოკლეს და სამი დასჭრეს; იძულებული იყვნენ სოფლებიდან ჯარი უკან დაებრუნებინათ.

„ახლა ამაზედ სულ შობულეთის

ხალხი გამდგარია და დიდთ ადლებულია. აწ რა იქნება, არ ვიცით. ჩვენ ვგონებთ, რომ ოსმალოს მართებლობა ამისთანა ღარიბი ხალხის შეწუხებისაგან კეთილს არას უნდა მოელოდეს...

ზურული მოკვდა-მორჩიაშვილი

ოსურგეთი, 31 აგვისტოს.

### ღიშრი

„ჭუთაისილამ გეტყობინებენ, რომ „შიგაროს შორწინების“ წარმოდგენა ძალიან კარგათ წავიდაო. მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ხალხი ნაკლებათ იყო და იმ წრეს, რომელიც ჩვენს ქალაქში ქართული სცენის გასამართავად შესდგა, ცოტა ვალი დაედგაო. მაგრამ ეს ვალი ვალად არ ჩათვლებათო, რადგან ცენისათვის ოთხმეცი მანეთის ტანისამოსი დარჩაო.

„იქილამე გვწერენ, რომ გასული თვის 30-ს კიდევ ერთი წარმოდგენა ყოფილა, იქაური სომხების თაობით. თუ ამ საღამოს უფრო მომეტებული ხალხი დავსწრო, — ეს იმ გარემოებას უნდა მიეწეროთო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ წარმოდგენა რუსულსა და ქართულს ენაზე იყო, და ამას გარდა იმღერეს,

შუშუნები აუშეეს და შემდეგ გათენებამდისინა ცეკვა იყოო.

„ნამდვილად გეტყობოდათ ახლა, რომ თფილისილამ ბაქომდი რკინის გზის გაკეთება მმართველობას შოთი თფილისის რკინის გზის კამპანიისთვის მიუხდენია, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ეს კამპანია არ დათანხმდება გზების სამინისტროსაგან შექმდენილს ფასებზე, მაშინ შეუძლიან უარი სთქვას და სამინისტრო კონკურენციას გამოაცხადებს. ამ გზის გასაყვანად ორმოცდაშვილი მილიონია (47,000,000) დანიშნული. შუბონინისა და მოკორეის წინააღმდეგ ამ საგნის თაობაზე სამინისტროს არ განუხილავს.

„მრთს რუსულ გაზეთში შუბონის მაზრილამ იწერებია, რომ გასული აგვისტოს პირველ რიცხვებში მმართველობისაგან გამოგზავნილმა ინჟენერებმა დაიწყეს ადგილების გამოკვლევა რკინის გზის გასაყვანათ როსტოვი-შლადიკავკასის რკინის გზილამ (არმავირის სტანციილამ) შავი ზღვის პატარა ქალაქ ტუაპსემდინა. ამავე დროს დაუწყიათ აგრეთვე გამოკვლევა მეორე გზის გასაყვანათ: არმავირის სტანციილამ სტავროპოლისა და სარიცინისაკენ.

„ძნელად დასაჯერებელი ამბავი მოგვიეიდა აბასთუმნილამ: მრთ ეილაკა კაცს ამას წინათ აბასთომი ბეჭედი დაკარგია. მს შემთ-

## მწიგნობრობა

### ჩვენი ძველი გმირები

#### „თამარ ბატონიშვილი“

ისტორიული რომანი შრ. ჩჩულოვისა

„მს თხზულება სიამოვნებით იკითხებოდა 1862 წ., როდესაც ის პირველად იყო დაბეჭდილი „სიკარში“, და იმ გვართვე იკითხება ეხლაც, თუმცა არ ეხება სრულებით იმ საგნებს, რომლებსაც დაჰფიქრებია ჩვენ დროინდელი ქართველი და თუმცა ამ თხზულების გმირები არ არიან ოსტატურად გამოხატულები და შეხედვებით მასში ბევრ უფერო მომკვდ პირებს.

„ღიახ, თუმცა ეს რომანი ისე ხელოვნურად არ არის დაწერილი, რომ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვოს მკითხველში, მაინც და მაინც „თამარ ბატონიშვილი“ გვიხატეს ისე ცოცხლად, ისეთ მშვენიერ ენით ჩვენ გარსულს დროს, რომ არ შეიძლება არ წაიკთხოს ყოველმა ქართველმა, რომელსაცარ რცხენია

ან არ ეზარება იყოს ქართველი და უყვარდეს ქართული მწერლობა.

მართალია, ამ თხზულების ბოლო გააციფრებს მკითხველს: მკითხულობ და გგონია, ავტორი ეხლავ გადგვიშლის ჩვენ ძველ ცხოვრების სრულ სურათს; ამ იმედით მკითხულობ ბოლომდინ და გამოდის, რომ ავტორმა მოგატყუილა; უიმედობას ჰგონობ ჯერ კიდევ უკანასკნელ თავების კითხვის დროს.

მაგრამ ამ მოტყუილებას ავტორს იმედი მაქვს, მთლად აპატიებ, რადგანაც იმის საამო საკითხაეი წიგნი, მე გგონია, არის მასთანავე სასარგებლო ჩვენ ეხლანდელ საზოგადოებისთვის.

„უფ. ჩჩულოვის რომანი გამოგვიხატავს ჩვენ ძველ თავად-აზნაურობას, რომლის ხელშიაც იყო მაშინ თითქმის ყველაფერი.

ჩვენ წინ დგას ორგეარო წარმომადგენელი მეთორმეტე საუკუნის ქართველებისა: ერთი მხრით მხნე პატრიარქი შალვა და წყნარი, სამშობლოს მსხარე მოყვარე თამარ ბატონიშვილი, და მეორე მხრით დაუნ-

დობელი და ამაყი ი. პრლუთაშვილი და დედოფალი რუსუდანი, სხვა რჩეულოვის გმირები ისე მკრთალად არიან გამოხატულები, რომ ისინი არ შეგვიძლიან ჩაეთვალათ რომელიმე ხასიათის ან წოდების კაცების წარმომდგენლებათ (ტიპათ).

შალვა არ არის იმ გმირთაგანი, რომელთა სახელიც უნდა ჩაიწერებოდეს ისტორიაში; ამას იტყვის ყოველი, ვინც კი ცოტათ მაინც იცის ჩვენი წარსული. შალვასთანა ყმაწვილი კაცები უეჭველია ცოტანი არ იყენენ მაშინ; მაგრამ მისი ცხოვრება არ შეგვიძლიან არ ჩაეთვალათ რაინდულ ცხოვრებად. მს წარმომდგენელი ჩვენ ძველ უკეთესს თავად-აზნაურობისა, მართალია, განათლებული არ არის და არც მოუწვლია იმის მოსაპოვებლათ მთელი ქვეყანა, მაგრამ ის იყო რაინდი; სუსტის დასაფარველათ მზათ იყო თავია სიცოცხლეს გამოსალმებოყო; „სიკვდილი სახელოვანი“ ურჩენოდა „სიცოცხლეს ნაძრახსა“, სიცოცხლეს, ნაყიდს სამშობლოს და სარწმუნოების ღალატით.

ჩვენი ახლანდელი მოწინაეე საზოგადოება, რომელსაც თავის თავი ევროპიულათ განათლებული ჰგონია, რომელიც შეცოდებით უყურებს თავის წინაპარებს და თავის წარსულს, როგორც ბნელ, საშინელ დროს, და დღეებს სთელის, დაივიწყოს თავის შავი გარსული; ჩვენი ეხლანდელი უკეთესი საზოგადოება, ვაზობ მე, ბევრით უფარდება ზნეობით ჩვენე ძველ საზოგადოებას და მეტად შალვებს. შალვას წინ ის მოჩანს რალაც საბრალო, ურწმუნო, უზო-უკვლო თაობათ.

ამას აშკარათ დაინახეს მკითხველი, როცა მოუყუეებით და აუწერთ შალვას ცხოვრებას, ცხოვრებას იმ უშიშარ რაინდისა, რომელიც ქართველობამ, საუბედუროთ, დაივიწყა გგონია სამუდამოთ.

შალვა შეხედება ერთხელ ოციოდ მგზავრს და იმათში მიაქცევს ყურადღებას ერთს, რომელსაც თუმცა კაცურად აცეია, მაგრამ ქალსა ჰგავს ძალიან. შალვა მიხედება, რომ ქალი მოუტაცნიათ ამათ და მიჰყავთ გასაუპატიურებელათ. ჩვენ გმირს უნდა

ხვევა იმ წამსვე ადგილობრივი პოლიციის უფროსისთვის გამოუცხადებია. (პოლიციის წარმომადგენელად აქ წელს ერთი ფერწალი ყოფილა). მს მოსულა აბანოში, რომელშიაც იმ დროს ერთი ქალი ბანაობდა, გამოეყვანა ეს ქალი, მიუყვანია იმის შინ, გაუხდია ტანისამოსი და ისე დაუხრეკია; მაგრამ ვერა უნახავს. მაუპატიურებულ ქალს უჩივლია და როგორც ამბობენ, მომრიგებელ მოსამართლეს ეს ფერწალი—ორი კვირის დატუსაღებით დაუსჯია.

□ შარაიზის პრისტავს 16 დაიარაღებული თათარი დასხმია თავს გასაცარცვად. პრისტავი ამ დროს გამში ყოფილა და გაუგია თუ არა ხმაურობა, ტიტველა ცხენზედ გადამჯდარა და მოუსმას. ავაზაკებს კი, პრისტავი რომ ვეღარ უპოვნიათ, იმის თოფ-იარაღი და ახალუხი, რომელშიაც 30 მანეთი ყოფილა, წაუღიათ და წასულან. შემდეგ დაბრუნებულ პრისტავს შეუყრია ხალხი და მდევარი გაუყენებია; მაგრამ ჯერ ვერაიან ვერ დაუჭერიათ.

ამბობენ, რომ ამ ავაზაკების ატამანი (წინამძღოლი) გამოჩენილი და მტეშურადის ქალის შეილიაო.

□ მრთის პეტერბურლის გავით-ში იწერებინა მლიზავეტაპოლიდამ, რომ მუდამ წელს ამ დროს ჩნდებიან ჩვენს გუბერნიაში ავაზაკები, 40—50 ავაზაკი ერთად დაესხმებიან მოგზაურებს ან სოფლებსაო და გაცარცვას არ აჯერებენ, ხშირად ჰკლავენ კიდევცაო. მს ავაზაკები ჩვეულებრივად წელსაც გამოჩნდნენო და ამის გამო ხალხი ძალიან დაფრთხილიაო.

დაიხსნას ეს საცოდავი ქალი ამ მძლავრებისაგან. მაგრამ შალვას სურვილი მარტო სურვილათ არა რჩება, ჩვენებურათ, არამედ გადაიქცევა საქმეთ. შეიპარა იმ კოშკის ოთახში, სადაც დამალეს მგზავრებმა კაცურათ ჩაცმული ქალი. უცნობი ქალის პატიოსნებისა და უმანკოების დაცვისათვის მზათ არის შეებას ბრძოლაში ოცს მგზავრს; შეიპარება კოშკში და უნდა, ამ ქალის გაუპატიურება კი არა, რასაც მოინდომებდა ჩვენი გარყვნილ საუკუნის შეილი, არამედ იმას უნდა ამ ქალის დახსნა გაუპატიურებისაგან.

შალვას სურს დაიხსნას ეს ქალი მგზავრების კლანჭებიდან და ამიტომაც უნდა იმას იქვე, მაშინვე იმაზე ჯვარის დაწერა, თუმცა იცის, რომ იმას ეს ცოლი მზითვებსარ მოუტანს და არ შეაკავშირებს მდიდარ და სახელგანთქმულ გვარებთან. იქნება ჩვენ დროდელ ქართველს არ მოეწონოს შალვას ამ გვარი დაუხედავი მოქმედება, მაგრამ იმედია აპატიოს, თუ რომ მოიგონებს, რომ ადრე ქართველობაში რაინდობა და ტუ-

„დროების“ კორექსიონი

პიატიგორსკი, 30 აგვისტოს

რამთენივე წლის წინათ, პიატიგორსკი მსახურებდა ზოგიერთ შემთხვევებში ისე, როგორათაც ესლა მსახურებს დამნაშავეებისათვის: სიმბირი, კუნძული სახალინი, ძამჩატკა და სხ. ამის მიხედულობით უნდა განსაჯოთ, თუ რა ნიჭიერების და ხელოვნებისა უნდა იყენენ აქაური ადგილობრივი მცხოვრებნი! ამათში კაცის მოტყუილებას და გაცარცვას პირველი დარბაისლული ადგილი უჭირავს; ერთის სიტყვით, რაც არ შემშენის კაცობრიობას და პატიოსნებას, ესენი კადრულობენ. სწორეთ ამათა აქვსთ დანერგული მტკიცეთ გულში მდამიური ანდაზა: „კაცს რომ დრო ჰქონდეს, უნდა მოიხმაროს, თორემ ის დრო იმას ამოიკამსო!“

მერ წარმოიდგინეთ და არც გაგონილა რასაც ესენი საქმეს მართებენ აქ მომსვლელთ ავთამყოფებს.

ზარდა ამისა ზემო ნაწილი პიატიგორსკისა, რომელიც შეადგენს ბულვარის ქუჩას თავისის თბილის გორით და სამკურნალო წყლებით, აქვს აღებული იჯარით კონტრაგენტოვს. ამ ნაწილში, ადგილობრივ ადმინისტრაციას არაერთი გავლენა არა აქვსრა შესახებ სისუფთავით შენახვებზედ, მყურდობაზედ და ავთამყოფების საჩივრებზედ. ამისთვის გამგებელი აქაური სამკურნალო წყლებისა ყოველის ფერს თავისის სურვილისამებრ ასრულებს; ამის გამოც ავთამყოფები და კონტრაგენტოვ უდგანან ერთი ერთმანეთს ჯიბრში. მაგრამ რა გამოვიდა? საჩივარი და უკმაყოფილება მიდის გასარჩევათ ისევე იმ გამგებელთან, რომელსაც უჩივიან.

ტუცობა, უსაზღვრო თავმოყვარეობა და გრძობა ერთსა და იგივეს არა ნიშნადენენ.

ძალი ჯვარის დაწერაზე უარს ეუბნება შალვას, მაგრამ ნიშანს კი აძლევს და პირდება სხვას არავის მისთხოვდეს.

ამ შემთხვევის შემდეგ შალვა მიჰყვება ჯარს საომრათ და ჩქარა მოდის გამარჯვებული თფილისს.

რა გაიგებს, რომ თავის დანიშნული ყოფილა მეფე ბიორგის დისწული და თამარ მეფის შეილის შეილი, იმას ეკარგება იმედი თავის სურვილის ასრულებასზედ. მაგრამ მაინც ჰბედავს რუსუდანს (თამარ ბატონი-შეილის დედას) გამოუცხადოს თავის გრძობა თამარისადმი; რუსუდანი უპასუხებს, რომ თავის ქალს მიათხოვებს ბერძენების სულთანს, რათა ამ უკანასკნელმა არ აუტეხოს ქართველებს ომი.

თამარი გაუბედველობაშია, არ იცის რომელი გზა ამოიჩიოს: გაიქცეს შალვასთან და უღალატოს ამით თავის სამშობლოს და მშობლებს, თუ სულთანის ცოლობა იჩიოს,

ზოგიერთ ექიმებს ხუთასიდან— შეიდას ავთამყოფადისინა ჰყავთ და რადგან ყველასი ერთნაირად ყურადღებით მოვლა შეუძლებელია, ამის გამო რომელი ავთამყოფიც შემძლებელია ექიმიც იმას მისდევს...

ქვირაში სამჯერ ექიმების კონსულტაცია (რჩევა) არის დანიშნული; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორათაც ჩვენში, ვგრეთვე ყველგან და ყოველივე საქმეში მდიდრებისათვის არის მხოლოდ კარები გაღებული.

წელს ძალიან ადრე გათავდა კურსი. რომლებიც გვიან მოვიდნენ, ისინი-ღა არიან დარჩომილები; და ზოგნიც ისე წავიდნენ, რომ სამუდამათ აღტქვეს აქეთ მგზავრათ გამოვლა, არამც თუ სამკურნალოთ მოვიდნენ-ღა. ამიტომ რომ საშინელი სიძვირეა სახლებისა, სასმელ-საქმელისა და ექიმებისაგან, რომლისა გამოც იძულებულ იყვნენ და დაინებეს თავი აქაურს წამლობას და გაეშურნენ სამზღვარ გარეთ, რადგანაც, იმათის სიტყვით, იქ უფრო ყურადღება აქვსთ ავთამყოფებს და ცხოვრებითაც იაფად გამოდიან, შედარებით პიატიგორსკისა.

შელეზნოვოდსკის საბანებელი წყალი გააფუჭეს, ცეცხლზედ გამობარ წყალს ურევენ და პირველი თავისი ბუნებითი თვისება შეუცვალეს.

მ. შრემელი

რუსეთი

✶ პეტერბურლის ოლქის სასამართლომ გადაწყვიტა ამ დღეებში ერთი საქმე, რომელსაც, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ვაჭრებისა და კერძო პირებისათვის, რომელთაც რკინის გზებზე რაიმე საქონელი ან ნივთი გადააქვთ. საქმე აი რაში მდგომარეობს:

დაიხსნას თავის სამშობლო, მაგრამ თავის თავი კი და შალვა დაჰლუპოს? თამარს ურჩევნია უკანასკნელი გზა: იმას მიათხოვებენ სულთანს \*).

შალვამ დაჰკარგა საყვარელი, დაჰკარგა იმ დროსვე მშობელი; იმას ამ ქვეყანაზედ არაფერი არ რჩება; მოიძულა ქვეყნიერება, მარტო ფიქრობს თავი ჩაიკლას სადმე.

ჩვენ დროინდელი ქართველი ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, სცდილობს იშოვნოს ახალი საყვარელი, დაივიწყოს თავის მშობელი და ხელახლად მიეცეს მხიარულებას; და თუ მოინდომა იმან სიკვდილი, ის მოიძულებს არამთუ იმათ, ვინც იმას აწეო, არამედ მთელ ქვეყანას; იმას ჩაუმიწარდა სიცოცხლე და მაშინვე იფიცებს თავის ვალს თავის სამშობლომად.

\* აქ ვიტყვი, სხვათა შორის, რომ ეს გულის შეოთვა თამარისა ვერ გამოგვიბატა ავტორმა ნათლად და აქედამ იწყობა მკითხველის გულგრილობა მოთხოობის გმირებისადმი. ავტორმა ჩვენ ვერ აღგვიწერა დაწვრილებით გრძობანი თავის უპირველეს მომქმედ პირისა.

მაქარმა ძოროვინმა პეტერბურლი-დამ მოსკოვეში მიმავალ (სტკოლოვის) რკინის გზას ჩააბნა 149 ქუთის სხვა და სხვა საქონელი. მაგრამ მოსკოვეში რომ მოიტანეს და ჩაბარება უნდოდათ საქონლისა, აღმოჩნდა, რომ 149 ქუთის მაგივრად, მხოლოდ 145 ქუთი იყო, ე. ი. 4 ქუთი დაკარგულიყო.

რკინის გზის გამგეობამ დაკარგულის ნივთებში, ტარიფით, ფუთში 5 მანეთი აძლია პატრონს. მაგრამ ძოროვინი არ დაკმაყოფილდა და საჩივარი შეიტანა პეტერბურლის ოლქის სასამართლოში, სადაც 900 მანეთის ანგარიში წარადგინა.

ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და ძოროვინის სასარგებლოთ გადაწყვიტა: რკინის გზის გამგეობამ, ტარიფით კი არა, იმდენი უნდა გადაუხადოს ძოროვინს, რამდენათ საქონელი თვითონ დაუჯდა.

✶ რუსეთის რკინის გზების გამგეობას გზათ სამინისტროსაგან მოუვიდა ცირკულიარი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ქალები შემდგის წესით შეიძლება მიიღოთ რკინის გზების ტელეგრაფში სამსახურისთვისაო.

ტელეგრაფისტკებათ მიიღებიან, ჯეროვანი ეგზამენის შემდეგ, გაუთხოვარი ქალები და ქვრივები არა ნაკლებ 18 წლისა; გათხოვილ ქალებში კი მხოლოდ რკინის გზებზე მოსამსახურე პირების ცოლები მიიღებიან. რკინის გზაზე მოსამსახურე ქალების რიცხვი უნდა იყოს 15% იმ რიცხვისა, რომელსაც ამ გზაზე მოსამსახურე კაცები შეადგენენ.

✶ მრთი რუსული გავითის სიტყვით, შინაგანი საქმეების სამინისტრო ახალს პროექტს არდგენს შესახებ სახელმწიფო საქმეებში გარეულ დამნაშავეებისა. ამ პროექტის ძალით,

ბლოს წინაშე; ჩაიკეტება ოთახში და იქ ჩამოიხრჩობა თავს...

მაგრამ უცნაური ყოფილა ჩვენი ძველებური თავად-ახნაურობა და დახედეთ როგორ იქცევა ის ამ შემთხვევაში. მე სიცოცხლე მაძიულდა, ჰფიქრობს შალვა, და ჩემი ვალია ის სამშობლოს შეესწირო. და ის ამ ფიქრით მიდის და შეებმება საშინელ ომში თავის სამშობლოს მტრებს.

აქ შალვა არ კვდება: უფარდება მტერს ხელში და უპირებენ მოკვლას, თუ რომ არ გახდება მაჰმადიანი და საქართველოს მოღალატე. შალვა ამაზე უარს ამბობს. იმას ესერიან, მაგრამ არ ჰხვდება ტყვია; ურჩევენ კიდევ უღალატოს თავის სარწმუნოებას და სამშობლოს, მაგრამ კიდევ ამბობს ამაზედ უარს. შალვა რჩება მაინც ცოცხალი და იმის დანარჩენი ცხოვრება ღირსი არ არის ყურადღებისა.

მ. თ.

(დასასრული შემდეგში)

ამ გვარის ახალგაზრდა დამნაშავეების-  
თვის ცალკე გასაწრთენელი სატუსა-  
ლო იქნება, რომელშიაც ოთხის  
წლის ვადით დაამწყდევინ ისეთს  
ბრალდებულებს, რომელთაც დღემ-  
დი კანონი სიმბრში დასასახლებ-  
ლად გზავნიდა.

✱ მდესის რუსებს ოთხი ათასი  
მანეთი მოუგროვებიათ გერცოგოვი-  
ნელ აჯანყებულების სასარგებლოთ  
და იქაურ ქალაქის თავისთვის ჩაუ-  
ბარებიათ დანიშნულების-და-გვარად  
გადასაცემად.

### რუსო ქვეყნები

**გერცოგოვინის აჯანყება.** გერ-  
ცოგოვინისა და ბოსნიის განდგო-  
მილების (ინსურგენტების) მოთავე-  
ნი შეკრებილან ერთს იქაურს პატა-  
რა ქალაქში და ერთხმად გადაუწყ-  
ვეტიათ მანიჭესტის გამოცემა, რომ-  
მელშიაც აჯანყებულები გამოაცხა-  
დებენ, რომ ისინი თხოულობენ გე-  
ცოგოვინისა და ბოსნიის ავტონო-  
მიას (დაუმოკიდებლობას) მსმალს  
იმპერიისაგან და თავის გამგებლად  
ქრისტიანი მთავარის დანიშნას. ეს  
მთავარი ვალდებული იქნება, რომ  
ყოველ წელიწადს აღნიშნული ხარ-  
ჯი გაუზაუნოს მსმალს და მიი-  
ღოს აგრეთვე ხვედრი წილი მსმა-  
ლოს სახელმწიფო ვალის გადახდაში.

უცხო ქვეყნის გაზეტები გვაცნო-  
ბენ, რომ, როგორც სჩანს, მერო-  
პის აგენტები გერცოგოვინაში ე-  
რაფერს ვერ გარიგებენ, რადგან  
აჯანყებულები არ დათანხმებულან  
მსმალს კამისარის მოთხოვნილე-  
ბაზე, რომ იმათ ამ მოლაპარაკების  
დროს თოფ-იარაღი უნდა დაჰქრო-  
ნო.

რაც შეეხება სამხედრო საქმეებს,  
მას აქეთ, რაც ტრებინიე აიღეს ოს-  
მალებმა, ბრძოლა თან-და-თან ცხარ-  
დება. ნევესინისთან დიდი ომი მო-  
მხდარა, რომელშიაც აჯანყებულებს  
რვა ასი კაცისაგან შემდგარი მსმა-  
ლოს ჯარი დაუმარცხებიათ. ამ ომ-  
ში, როგორც ამბობენ, 500 თათა-  
რი ამოუწყვეტიათ. აჯანყებულების  
მხრით ლიუბობრატოვიჩი ყოფილა  
სარდლათ.

მრთი რუსული გაზეთის კორრე-  
სპონდენტი სერბიიდან იწერება, რომ  
თუ მართალია ის ხმები, რომელსაც  
ამ უკანასკნელ დროს ჰყრიან, რომ  
ვითომც მსმალს განზრახვა აქვს  
სერბიაში ჯარი ჩააყენოსო, უეჭვე-  
ლია, მაშინ მთელს ბალკანის ნახე-  
ვარ-კუნძულზე და ვინ იცის იქნება  
მთელს მეროპაშიაც ასტყდეს ომიო.  
აქვე კორრესპონდენტის სიტყვით,  
სერბიას ახლა 160 ათასი კაცი ჯარი  
ჰყავს და ამ რიცხვიდამ უკანასკნელ  
80—90 ათასი კაცი შეუძლიან, რომ-  
ცა ჰსურს, ბრძოლის ველზე გამოი-  
ყვანოსო. ჩერნოგორიის სამუდამო  
ჯარს თუმცა მხოლოდ თანდარმები  
შეადგენენ (8,000 კაცი); მაგრამ ო-  
მიანობის დროს, კანონით, ყოველი  
მოქალაქე ვალდებულია საბრძოლ-  
ველად გამოვიდესო და ამ შემთხვე-

ვაში დიდის სიამოვნებითაც გამოე-  
ლენო; ასე რომ ჩერნოგორიასაც  
უკანასკნელი 25—30 ათასის კაცის  
გამოყვანა შეუძლიან საბრძოლვე-  
ლათაო.

რასაკვირველია, მსმალს უფ-  
რო მომეტებული ჯარი ჰყავს. მა-  
გრამ თუ ერთის მხრით მიიღებთ  
მხედველობაში მსმალს უფულო-  
ბას, ფინანსიურ გაჭირებას და უმე-  
ცარ ჯარს, მეორეს მხრით აჯანყე-  
ბულების მხნეობას (განსაკუთრებით  
ჩერნოგორიელებისა) და იმათ გრძო-  
ბას, ზნეობით ძალას (თავისუფლები-  
სთვის იბრძვიან), მაშინ დარწმუნე-  
ბით, რომ თუ მართლა ბალკანის  
ნახევარ-კუნძულზე რამე მოხდა, ძნე-  
ლად მოხალოდნელია, რომ მსმა-  
ლო გამარჯვებული და მთელი დარ-  
ჩეს.

**ინგლისი.** ლონდონში იყო მიტ-  
ტინგი (შეკრებილება), რომელზედაც  
ხალხს გერცოგოვინის აჯანყებაზე  
უნდა მოელაპარაკა. ბაზეთებში და-  
ბეჭდილია ლორდ როსსელის წიგნი,  
რომელიც ამ მიტტანგზე წაუკითხაეთ;  
ეს გამოჩენილი სახელმწიფო კაცი  
სრულს თანაგრძობას უცხადებს  
გერცოგოვინელებს და, სხვათა შო-  
რის, ამბობს, რომ მეროპა ტყუილ-  
უმბრალთ ეცდებოდ, რომ მსმალს  
მთელი და ხელ-უხლებელი დარჩე-  
სო; სამართლიანობა და პოლიტიკუ-  
რი წინ-დამხედლობა მოითხოვსო,  
რომ გერცოგოვინა და ბოსნია ცა-  
ლკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ  
შეიქმნენო.

მიტტინგს აღტაცებით მოუსმენია  
ეს წიგნი და გადაწყვეტილება დაუ-  
დგენია, რომ ყველა ჩვენგანი რითაც  
მოეახერხებთ, დაეხმაროთ აჯანყე-  
ბულებს, რომელნიც თავიანთი თა-  
ვისუფლებისა და თითქმის არსებო-  
ბისთვის იბრძვიანო.

**იტალია.** იტალიის სამინისტრო  
ამზადებს ახალი კანონის პროექტს,  
რომლის ძალითაც იტალიაში სამო-  
ქალაქო ქორწინება დაწესდება. შეე-  
ლა მოქალაქე, რომელიც ცოლის  
შერთვას დააპირებს, ვალდებული  
ექნება, რომ ჯერ სამოქალაქო წე-  
სით შეეკრას თავის ცოლს და მერე  
ეკლესიაშიაც დაიწეროს ჯვარი. ქა-  
ნონის პროექტი მნართებლობამ პარ-  
ლამენტს უნდა წარუდგინოს დასამ-  
ტკიცებლად.

### ქრონიკა

**პირველი იმედი შარნავაზი**  
—  
შარნავაზის მამა იყო ქართველი,  
დღეა კი სპარსეთის მეფის დარია-  
სის ქალი. მამას ერქო მიტრიდატი.  
ეს მიტრიდატი 332 წელს ალექსან-  
დრემ მოჰკლა. ამ დროს შარნავაზი  
იყო სამის წლისა.  
დღემ რომ შეიტყო თავის ქმრის  
სიკვდილი და იბერიელის მიტრიდა-  
ტის გამთავრება საქართველოში აი-  
ყენა თავისი შვილი შარნავაზი და

წაიდა ჩერქეზეთში და, როგორც  
მეფის ჩამამელობის ქალმა, დიდის  
მეცადინეობით აღზარდა შეილი. მა-  
გრამ მიტრიდატი რომ მოკვდა 317  
წელს შემანთან ერთობ ანტილონის  
ომში, მაშინ შარნავაზი და მისი დე-  
და დაბრუნდნენ მცხეთაში. ამ დროს  
ის იყო 18 წლისა, და საქართველო-  
ში მიტრიდატის სიკვდილის შემდეგ  
აზონი მთავრობდა. პირველი მთაე-  
რობდა 332 წ. ვიდრე 317 წ. აზო-  
ნი 317 წლიდგან ვიდრე 304 წლა-  
მდე.

შარნავაზი და იმისი დედა ძურ-  
ძუკეთში—ჩერქეზეთში დარჩნენ 12  
წელიწადს. ნამდვილია, რომ მცხეთა-  
ში მობრუნების დროს ის ჰასაკში  
მოსული იყო: „მართლის სხოვრე-  
ბა“ ამბობს, რომ ის იყო კაცი გო-  
ნიერი, კი ვაჟკაცი და ძლიერი მო-  
ნადირე; მაგრამ დედის დარიგებით  
ის იმალედა თავის სინატიფეს და  
ვაჟკაცობას. დედას ძლიერე ყვარდა  
თავისი ერთად-ერთი ვაჟიშვილი და  
მუდამ ასრე ეუბნებოდა: „შვილო ჩემო,  
ეგრძელე აზონს, და ნურა-რას იჩინებ  
სიკეთესა თავისა შენისასა, ნუ უკვე მოგ-  
კლან შენ.“ შარნავაზს დედა უყვარ-  
და და მის დარიგებას უარს არა ჰყო-  
ფდა, მაგრამ თავის სინაუქეს და ვაჟ-  
კაცობას მაინც ვერ მალავდა, და  
ისრე გონიერულად იქცეოდა, რომ  
აზონს შეაყვარა თავისი თავი. „ხო-  
ლო მენადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ  
აზონისა, და შეიყვარა იგი აზონთან მო-  
ნადირეობისათვის.“

თუმცა ასრე დაუახლოვდა შარნა-  
ვაზი აზონს, და აზონს ის უყვარ-  
და, მაგრამ ის მაინც დედის ჩაგონე-  
ბით მორიდებით იყო, და თავის მო-  
ნადირეობით სამხედრო ხელობას სწა-  
ვლობდა, ემზადებოდა მარჯვე დროს  
პოვნას, აზონის საქართველოდგან  
გაგდებისათვის. ეს მარჯვე ქამიც  
დროს და დროს განმეოლობაში იმას  
უფრო და უფრო უახლოვდებოდა.  
აზონი თავის სასტიკის ქცევით თავს  
აძულებდა და აბეზრებდა არამც თუ  
ქართველს ხალხს, არამედ იმ ბერძნის  
ჯარსაც, რომელიც იმას მოჰყვა სა-  
ქართველოში. აზონის ცუდ-კაცო-  
ბა ერთის მხრით შარნავაზი და საქარ-  
თველოში მცხოვრებ იმ ბერძნებში,  
რომლებთაგანაც იმან პერდიკას ბრძა-  
ნებით მრავალი ამოწყვეტა, მტრო-  
ბას აცხოველებდა იმისადმი, მეორეს  
მხრით ძალიან გააჯაერა ქართველი  
ხალხი, როცა, როგორც შარნავაზი  
ამბობს, მოჰკლა ერთი მამასახლისი, —  
ქართველი—და მის მაგიერ თავისი  
ძმა, სახელად მედამა დააყენა.

ეს შემთხვევა შარნავაზს ძალიან  
გაუხარდა, ამისათვის რომ ხალხმა და  
აზონის ჯარმა აზონი ძალიან ცუდ-  
კაცად დაინახა; მაგრამ შარნავაზის  
დედას ძალიან შეეშინდა, რომ შეი-  
ტყო ამ მამასახლისის სიკვდილი; ამი-  
საგამო ეხვეწებოდა შეილს, რომ  
„დაუბრუნე საყოფელი მამათა შენთა, და წარ-  
მიყვანე მამულსა ჩემსა, ასპანს, ძმათა ჩემ-  
თა თანა, და განერე შენ ცოცხალი ხელი-  
საგან აზონისა.“

მონიერმა შარნავაზმა დედის და-  
სამშვიდებლად თანხმობა განაცხადა

და ვითომც დაიწყო სპარსეთში წა-  
სასვლელად მზადება; მაგრამ ვაჟი  
ნებში მხნედ შეუდგა მსმალს, რომელიც  
აღმდეგ მტკიცე შეთქმულობის შე-  
დგენას.

შარნავაზის გამოკვლევადგან სჩანს,  
რომ აზონს ნამდვილად 50 ათი  
ათასი ბერძნის ჯარი ჰყავდა. ამ  
ჯარს ის არ უყვარდა სასტიკისა და  
ქიში ხასიათისა გამო; ეს უსიყვარუ-  
ლება მტკიცდება იმ ფაქტით, რომ  
ჯარმა, როგორც ამბობს შარნავაზი,  
ერთხელ იმას არ გაუგონა და ამო-  
წყვეტა აჯანყებული საქართველოს  
ბერძნები, რომლებსათვის კარგად  
მოქცევით აზონს უნდოდა იმათი  
გულის მოგება და მერმე იმათ შემ-  
წევობით გამეფება. ამისა გამო არც  
აზონს უყვარდა თავისი ხელქვეითი  
ბერძნის ჯარი. ამ მიზეზით აზონი  
თავის ჯარსაც სასტიკად ექცეოდა,  
ქართველ ხალხსაც; ამ გვარის ურ-  
თიერთისათვის მიმოკერძვისა გამო  
აზონი განდა ექვიან კაცად, და ვის-  
ზედაც კი ცოტადენ ექვს აიღებდა,  
გაუკითხავად ჰკლავდა.

ეს ამბავი იმის დედამ არ იცოდა  
და არც იმან შეატყობინა, რადგან  
ეშინოდა, რომ დამიშლისო. შარნა-  
ვაზი ვითომც სპარსეთში წასასვლე-  
ლად ემზადებდა და ამ მიზეზით ათქ-  
მევენებს დედას იმ განძს, რომელიც  
იმან ალექსანდრეს მოსვლის დროს  
დაამალვინა დიდის მახლობლიე გა-  
მოქებაილში. სპარსეთში წასვლით  
განარებულმა დედამ უთხრა შვილს  
განძის ადგილი. ბანძისაგან დაიმედ-  
ებულმა შარნავაზმა ახლა უფრო მტ-  
კიცედ დაიწყო თავის განზრახვაზე  
ფიქრი. ამ ფიქრით გატაცებულმა  
დაიძინა, და იმ ღამეს ნახა მშვენი-  
ერი პოეტური სიზმარი. „იყო იგი სა-  
ხლსა შინა უკაცურსა და ვგულგებოდა გან-  
სულა; მაგრამ ვერ განვიდა: მაშინ გამოვიდა  
სარკმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა  
წელსა მისსა და გასწია და განიყვანა სარ-  
კმელსა მას; და ვითარ განვიდა ველად,  
იხილა მზე ქმემდებარედ, მიჰყო ხელი, მო-  
ხოცა ცვარი პირისა მისისა და იცხო პირსა  
თვისსა. ამის შემდეგ შარნავაზს გამოეღვი-  
და და სთქვა გულში: ეს იმას ნიშნავს, რომ  
მე ბედნიერი ვიქნებიო.“

ამ სიზმარმა შარნავაზი უფრო  
გამხნევა. მრთის წვიმიან დღეს ის  
წაიდა ხაზინის სანახავად, მაგრამ  
ხალხში ხმა დაადგო, რომ ის სანა-  
დიროდ მიდის. მივიდა, ნახა განძი  
და ძლიერ გაუხარდა. მერმე მისწერა  
იმერეთის მრისთავს მუჯის და სთხო-  
ვა მზად ყოფნა, როგორც პირობა  
ჰქონდათ, და ამასთანავე შეატყობი-  
ნა თავის ხაზინის ამბავიცა. მუჯი  
თანახმა გახდა.

ინგილო ჯანაშვილი

### ნარკვი

მრთმა ფრანკულმა გამოსცა ამას წინათ  
ძლიერ შესანიშნავი თხზულება იმაზე—თუ

